„მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 5 (260) 17 მაისი ოთხშაბათი, 2017 წელი; ფასი 1 ლ.



## აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ფოთს დაუბრუნდეს უძველესი სახელწოდება ფაზისი და ეწოდოს ფოთი-ფაზისი

სხვა გაზეთებიდან, „საქართველოს რესპუბლიკა" 28 აპრილი, №87

მომავალი ბევრად უკეთესად ჩანს წარსულიდან

### ხალხმა უნდა გააცნობიეროს თავისი დიდი ისტორიის ღრმა ფესვები

* ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი შესრულდა;
* „ვეფხისტყაოსნის" შექმნიდან 850 წელიწადია;
* ფოთს თავისი უძველესი ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ-ქართული კავშირ-ურთიერთობის გამო უპრიანი იქნება თუ ფოთი-ფაზისი ეწოდება.

მე-3 გვ.




### XX საუკუნე - საქართველოს 2-ჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა ერთმორწმუნე რუსეთის გამო

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა - 99 წლისთავი

ნუ დავკარგავთ შანს გავხდეთ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა

მე-2 გვ.



### მას საქართველო უყვარდა, საქართველოსთვის ეწამა, მისი თავისუფლებისათვის იბრძოდა. თანამდებობები არ უძებნია, მხოლოდ ქვეყნის სატკივარი სჭირდა

### შავლეგო, როგორ აკლიხარ ქვეყანას!

### ჯერ კიდევ როდის იყო დემოკრატია საქართველოში

### მეფის - ქალისა და წმინდანის, თამარის დღე



ევროპამდე კარგახნით ადრე ასე იწყებოდა დემოკრატია ჩვენში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია" მეფედ კურთხევა თამარმა მიიღო დიდებულთა დარბაზის მხარდაჭერით. როგორც მეფეს დიდი უფლებები ქონდა, რაც უპირატესად მოვალეობაში გადადიოდა. ეს იყო სამშობლო, უფალი, ქართველი ერი, მისი კეთილდღეობა, კულტურის და განათლების სრულყოფა. დიდი მეფე გლეხს ათავისუფლებდა ყველა სახელმწიფო ვალდებულებისაგან, თუ „ვეფხის ტყაოსანს" ზეპირად ისწავლიდა, რამეთუ იგი ბიბლიაა ჩვენი, ერის ღირსება. სამწუხაროდ, ქვეყანას დაავიწყდა „ვეფხისტყაოსნის" 850 წლის იუბილის აღნიშვნა. არადა, სად იყო ევროპა, როცა ეს გენიალური ნაწარმოები იწერებოდა.

თამარი კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართველობას ოქროს ხანას, რომელიც უნდა დავიბრუნოთ.

### „ფაზისის" აკადემია მოქმედებს

### ბიბლია და თანამედროვეობა

ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ნუნუ ჭელიძე) გაიმართა „ფაზისის" აკადემიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა აკადემიის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ქალბატონმა დოდო ხუხიამ. სხდომამ პატივი მიაგო აკადემიის წევრების, ახლადგარდაცვლილი ცნობილი პიროვნებების, აკადემიკოსების რეზო გაგუასა და პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელის ხსოვნას.

ბიბლიისა და თანამედროვეობის საკითხებზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა, დოქტორმა ჯემალ ჯიქიამ.

ვრცლად ამის თაობაზე - შემდეგ ნომერში.




### 9 მაისი - ფაშიზმზე - სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაული

უთანასწორო ბრძოლა მოიგო რწმენამ, სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის თავგანწირვამ, სამშობლოს სიყვარულმა, რომელიც დროდადრო უფერულდება, რომ ეს ბრძოლა იყო უაზრო, რომ სხვის ომში დაიხოცა ქართველობა, და სხვის სამშობლლოს იცავდა. მავანს დღემდე ვერ გაუგია ფაშიზმის არსი, რას გადაურჩა მსოფლიო ქართული გენიის წყალობით.

### 9 მაისი - ფოთში

მე-3გვ

### ადამიანი დროში

### რამინ აბლოთია - ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი



მე-4 გვ.

### საქართველოს პრემიერ მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს „თქვენ არ იცნობთ სიღარიბეს, იგი არის პატარა ჯვარცმა".



მე-2 გვ.

### სამძიმარი

*ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იზიარებენ ირაკლი ხახუბიას უდიდეს მწუხარებას, შვილის,*

**ბექა ხახუბიას**

*ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.*

*ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იზიარებენ საკრებულოს თავმჯდომარის, ალექსანდრე თოფურიას მწუხარებას, მამის,*

**ჟორა თოფურიას**

*გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.*

irida
Printing Design Advertising

აქ იბეჭდება ჩვენი გაზეთი სტამბა „ირიდა", ანუ ცისარტყელას ქალღმერთი

მე-5 გვ.

# XX საუკუნე - საქართველოს 2-ჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა ერთმორწმუნე რუსეთის გამო

## 26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა - 99 წლისთავი

## ნუ დავკარგავთ შანს გავხდეთ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა



XX საუკუნის დასაწყისში, 1918 წელს მხოლოდ სამი წლით დაიხსნა თავი საქართველომ რუსეთისაგან, ახალმა იმპერიამ ისევ დაიპყრო ახლადფეხადგმული დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთის იმპერია კვლავ დაიშალა. 1991 წელს, 9 აპრილი ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა. ისევ აგრესია რუსეთისაგან და 2 წლის შემდეგ თითქმის სანახევროდ დავკარგეთ დამოუკიდებლობა, მიიტაცეს ტერიტორიები, ოღონდ გაუგებარი პერსპექტივით, სამწუხაროდ რუსეთის ორივე იმპერია ქართველებმა შექმნეს.

საფრთხეები გარე თუ შინაური მტრებისგან ისევ არ წყდება, ათასწლოვან ბრძოლებში გამოვლილი ქვეყანა თვალდახელს შუა პატარავდება, არადა, თავისუფლებას გაფრთხილება უნდა, სახეზეა შეცდომები, ქვეყნის დამოუკიდებლობა სამოქალაქო ომმა შეარყია. მიუხედავად პოლიტიკური სიჭრელისა, პარტიული სიმრავლისა, უნდა გვახსოვდეს ქვეყანა ერთია, რამაც უნდა გაგვაერთიანოს და ხალხი დანაშაულისა და ძალადობის ჭაობში არ უნდა ჩავითრიოთ, როგორც ეს გააკეთეს ,,ნაცებმა”. დამოუკიდებლობის 25 წლიანმა ისტორიამ ბევრი გაკვეთილი დაგვიტოვა ფიქრისა და განცდისათვის, სახელმწიფო და პიროვნული თავისუფლება თანმხვედრი უნდა იყოს, კაცს უნდა დაედგომებოდეს თავის ქვეყანაში, არაფრის მქონე, ღარიბი ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება, ის სხვაზეა დამოკიდებული მატერიალურად, ზნეობრივად. არ არსებობს თავისუფლება ეროვნების მიღმა. დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მხოლოდ თარიღამდე არ უნდა დავიყვანოთ. ერმა უნდა იგრძნოს თავისუფლების სიკეთე, რაც ასე იგვიანებს. თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ ადამიანთა ერთი ჯგუფისა და კასტისათვის არ უნდა იყოს ბედნიერების წყარო. ასე რომ, საფიქრალია- ვიზეიმოთ თუ გამოვფხიზლდეთ და გავაანალიზოთ საით მივდივართ, წინ თუ უკან? დამოუკიდებლობა თვითმყოფადობას გულისხმობს, არადა, ვერ მოვუარეთ ამ პატარა ქვეყანას. თავისუფლებას ზეიმობენ ისინი, რომელთა თავისუფლებაში არ შედის ქვეყნის თავისუფლების დაცვა. რელიგიური მრწამსის გამო, ბიბლიური თავისუფლების მოშველიებით არ მიდიან ჯარში, იქმნება ალტერნატიული ეკლესიები, ისე არიგებენ სასულიერო წოდებებს ახალ სკოლადამთავრებულები თითქოს საზრიანთა კლუბის თამაში იყოს. ეტყობა, ქრისტიანობაზე შეტევის ახალი ტალღა მოდის. დემოკრატიაა! - ჩემი უფლებაა მეყვარება თუ არა ქვეყანა, ადამიანები, შევქმნი თუ არა ოჯახს, ჩემი უფლებაა ვიმსახურებ თუ არა ჯარში. არადა, რამდენი თაობები შეეწირა ბრძოლებს, რათა აქამდე მოსულიყო საქართველო. ეს არის ხმლით შემოსაზღვრული ისტორია, აი, მათ არ იცოდნენ დემოკრატიის ფასი, რომ მათი უფლება იყო ერგოთ თუ ევნოთ ქვეყნისთვის. პატრიოტიზმი მათთვის უფლება და მოვალეობა იყო, სამშობლოს სიყვარული თავისთავადია, მარადიულია, თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს სიცოცხლის არტერიაა-როგორც უწყვეტი ძაფი, თითქოს სამშობლოსა და სიცოცხლის წყურვილის გარდა არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა - ,,სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა”. თუმცა, არავინ იცის საით მიექანება ისევ ორად გაყოფილი საქართველო, პარტიული დაპირისპირება, იმედგაცრუება, არადა, ოცნებადაკარგულ ხალხს არასდროს უშენებია ქვეყანა. გაწყდა კავშირი თაობათა შორის, აღარ უსმენენ გამოცდილ ადამიანებს, რომ არაფერი ვთქვათ შორეულ წარსულზე. ერი, რომელიც წარსულს, თავის ისტორიას პატივს არ მიაგებს კვდება. ქვეყანა, რომელმაც ,,ვეფხისტყაოსნის” იუბილე არ აღნიშნა, არც დიდგორობის-საქართველოს გადარჩენის დღის აღნიშვნას აპირებს (თურქებს ეწყინებათო) რა დამოუკიდებელია? არადა, დიდგორობა არის მარადი გენეტიკური შეხსენება ქართული სულის სიმტკიცისა, გაუტეხელობისა, ნიჭიერებისა. იქნებ გერმანელები გაუნაწყენდნენ რუსებს 9 მაისის დღესასწაულის გამო, მაგრამ მათ კარგად იციან რომ ფაშიზმი უპირველესად მათივე მტერი იყო, რომ ერთ დღეს ხმლისა მქნეველი ხმლითავე დაილეწების. 26 მაისი თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაულია, არადა, მავანი ყველაფერს აკეთებს ეროვნული სულისკვეთების ჩაკვლისათვის, შერყეულია რწმენა, ადათწესები, ქართული ხასიათი. არადა, რად გვინდა თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ეროვნების, ქართველობის გარეშე. ამას ისისც ემატება, რომ საგანგაშოა დემოგრაფიული ვითარება. 2050 წელს უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ქვეყანა დამოუკიდებელია, მაგრამ როგორც ჩანს ეს არ არის საკმარისი, მთავარი გვაკლია - ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ერთმანეთის სიყვარული. ყველაფერი კი სახელმწიფო სისტემაში უნდა მოექცეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა თვალსაზრისით. ყველაფერს იმას ნუ დავაბრალებთ, რომ კონსტიტუცია არ გვივარგა, არადა, ისრაელს, შვეიცარიას, ინგლისს არა აქვს იგი, თუმცა, ქვეყანა ყვავის. კონსტიტუცია გვქონდა სააკაშვილის დროს და საპრეზიდენტო რესპუბლიკაც, მაგრამ მივიღეთ ნეოფაშიზმი. რაშია საქმე? გამოდის მარტო ქარტია არ ყოფილა საკმარისი, ისევ ქვეყნის სიყვარული, ქრისტიანული რწმენა, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ერთობა თუ გადაგვარჩენს და არა პოლიტიკური აფერისტობა, ვითომ დემოკრატია, ვითომ პარტიები, ვითომ პრეზიდენტი, გათითოკაცება, მომხვეჭელობა, უსამართლობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა დაღუპავს ქვეყანას.

სახელმწიფოს აქვს თავისი ღირსება, კანონები, მრწამსი, იდეოლოგია. ეს ის გარემოა, სადაც იზრდება კაცი და ცდილობს იყოს ამ მოწოდების, ღირსების სიმაღლეზე. არადა, ქვეყანას ღირსება ნაკლებად აქვს და შესაბამისად - არც ადამიანებს. ,,ნაცებმა” მოახერხეს ამ უღირსი გარემოს შექმნა და მთავრობას კიდევ ბევრი თავსატეხი აქვს დასაძლევი, სანამ მათ არ მოვიცილებთ არაფერი გვეშველება, უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის გეოსტრატეგიული მდგომარეობა და არ დავზარალდეთ იმპერიებს შორის დავაში.

და მაინც, გულს ნუ გავიტეხთ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ვიყოთ იმ იმედით, რომ რუსეთიც ისწავლის ჭკუას, რამეთუ ცნობილია ,,რასიი უმომ ნე პონიატ”, იქნებ, ჩვენც მოვეგოთ ჭკუაზე, გავერთიანდეთ, რამეთუ, ,,თუ მთელმა ერმა, გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის”.

**ზ. აბრალავა**

# საქართველოს პრემიერ მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს

# იქნებ დაინახოთ ფარდის მიღმა ცრემლიანი საქართველო



ბატონო პრემიერო,

თქვენი ამასწინანდელი განცხადება დიდი პარტნიორის წინაშე ცოტა გადაჭარბებული გვეჩვენა - საქართველომ ბევრ სიკეთესთან ერთად სიღარიბე დასძლიაო, გავსულვართ ფონს და ეგაა - აღარ ისმის წყევლა - კრულვა ბანკებთან, ვალებში აღარ გვიყიდიან სახლებს, ბინებს, თუ მიწებს. მათხოვრებიც სადღაც გამქრალან. აღარაა რიგი ურნებთან. ქართველი ქალები არ გარბიან საზღვარგარეთ, ყველაზე დამამცირებელ მონურ სამუშაოზე, რამდენადაც ათასობით სამუშაო ადგილი გაჩენილა, თითქოს 2000 ბავშვი არ გარდაცვლილიყოს შიმშილისგან და შარშან ასიათას კაცს არ დაეტოვებინოს საქართველო. ისე. ევროპამ და ამერიკამ ვერ დასძლია სიღარიბე და ამ პატარა პარტნიორმა საქართველომ, როგორ მოახერხა ეს, მართლაც საოცარია?

ეტყობა, თქვენ არ იცნობთ სიღარიბეს ბატონო პრემიერო, რომ ,,იგი არის პატარა ჯვარცმა”. ამას ვერც იმ მილიონერებს გააგებინებთ პარლამენტში ასე რომ მომრავლებულა. არაფერს ვამბობ ქვეყნის დაქცევით, ქონების დატრევით გამდიდრებულ ნაცბიზნესმენებზე მონებად რომ აქციეს ხალხი. რას იზამ, კაპიტალიზმია, მდიდრებიც იქნებიან და ღარიბებიც. კონკურენციაა, ბრძოლაა, პროგრესის მომტანი, მაგრამ ერი რომ იღუპება, რად გვინდა ასეთი ახალი წყობა, სიღარიბე ჯვარცმაზე უარესია. მან საკუთარი მიწიდან განდევნა ქართველობა. ასეთი რამ თემურ ლენგმა თუ შაჰ-აბასმა ვერ მოახერხა. შიმშილს გაექცა ქართველი კაცი 21 საუკუნეში, რამეთუ შიმშილი სიკვდილია უჩინო, ვერაგი და დაუნდობელი.

,,თუ არს სიცოცხლე, რაა სიკვდილი, თუ არს სიმაძღრე, რაა შიმშილი” - წერდა დიდი დავით გურამიშვილი, მაგრამ რომ არაა ასე? ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი ძუძუ გვიწოვია ,,ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარნიცა”, ოღონდ ესაა, ნაადრევად რატომ ვართმევთ ადამიანებს ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს.

200 პარტია ვითომ ქვეყნისთვის იბრძვის, არადა ქვეყანა ერთია. გეოსტრატეგიულმა პრიორიტეტმა არ უნდა გვავნოს, არც ამერიკა და არც რუსეთი იმდენს ვერ დაგვაზარალებს - როგორც შინაური მტრობა და ქიშპობა. ,,ვეფხისტყაოსნის” სულით მდიდარი ქვეყანა და ხალხი ფიზიკური განადგურების წინაშეა.

**,,თქვენ არ იცნობთ სიღარიბეს, იგი არის პატარა ჯვარცმა”**

დამნაშავე მაინც ჩვენ ვართ - ხალხი, ქვეყანა, რომელმაც სააკაშვილი აირჩია. და მივიღეთ დიქტატურა დემოკრატიის ნიღბით - ათასობით გაუბედურებული ადამიანი, ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ გაიქცა და იქედან არჩენს დარჩენილ ნახევარს. მივიღეთ დაუსწრებელი საქართველო, დაუსწრებელი ცხოვრება (დაუსწრებელი სწავლა გამიგია). არადა, ფული, რომელიც აშშ-მ გამოგვიყო და ,,ნაცბანდამ” მიითვისა, ქვეყანას ააყვავებდა.

ის, რომ სული გვიდგას და შუქის, გაზის და წყლის საფასურის გადახდას ვახერხებთ, ვიღაცის ბიზნესის ხელშემწყობი ვართ, ეს არის სიმდიდრის მაჩვენებელი? ან ის, რომ მხოლოდ საარჩევნო ხმად შემოვრჩით, ესაა ბედნიერება? -დემოკრატია ყვავის! დემოკრატია და თავისუფლება ისაა, ცხოვრება რომ გიხარია, ჩვენ კი არსებობისათვის ვიბრძვით და სიცოცხლის წყურვილის გარდა არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა. ამიტომაც, შეხვდით ადამიანებს და უკეთ გაიგებთ მათ გასაჭირს. ,,ნაცები” და მათი ,,რუსთავი-2” კუთხეკუნჭულს არ ტოვებენ. რათა აგინონ ,,ოცნენას”, ხალხის გამო, რომ არ სძინავს გვარამიას გუნდს - ცოტა დაუჯერებელია. თქვენ მათ როგორ შეგადარებთ, მაგრამ იყავით უფრო რეალური. ლამაზ ფერებში ნუ აღიქვამთ ცხოვრებას, ეს სააკაშვილის სტილია, ვირტუალური ქვეყანა, ტელეგადაცემებით - ცხოვრება საამურია. საამური როგორ არაა, მაგრამ ვისთვის?” სიღარიბე დაძლეულია, ოღონდ ვისთვის? დემოკრატიაც არის და თავისუფლებაც, ოღონდ ვისთვის? დაეშვით ადამიანთა მიწაზე, აქ ტკივილთან ერთად კაცობის სითბოსაც იგრძნობთ. იქნებ დაინახოთ ფასადს მიღმა ცრემლიანი საქართველო.

**ზურაბ აბრალავა**

სხვა გაზეთებიდან, „საქართველოს რესპუბლიკა" 28 აპრილი, №87

## მომავალი ბევრად უკეთესად ჩანს წარსულიდან

# ხალხმა უნდა გააცნობიეროს თავისი დიდი ისტორიის ღრმა ფესვები

* ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი შესრულდა;

* „ვეფხისტყაოსნის" შექმნიდან 850 წელიწადია;

* ფოთს თავისი უძველესი ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ-ქართული კავშირ-ურთიერთობის გამო უპრიანი იქნება თუ ფოთი-ფაზისი ეწოდება.








## საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს
## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს

გვაქვს პატივი მოგმართოთ „ფაზისის" საერო - სამეცნიერო აკადემიის მრავალათასიან წევრთა, ქ ფოთის, სამეგრელოს მხარისა და სრულიად საქართველოს ზირძველი მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობასთან ერთად, მრავალი თაობის მიერ სუბიექტური მიზეზით დღემდე განუხორციელებელი სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის თაობაზე. რადგან ქვეყნისათვის პოლიტიკური რეალობით დღეს აუცილებელი ხდება შესაბამის საერთაშორისო სადირექტივო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების სრული შესაბამისობითა და თანამშრომლობის საფუძველზე ჩატარდეს:

1. ქართული სახელმწიფოერიობის 3000 წლის იუბილე; 2. მსოფლიო მოაზროვნის, დიდი შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხვისტყაოსნის„ გამოსვლიდან 850 წლის იუბილე; 3. ქ. ფოთს ბერძნულ, ბიზანტიულ, რომაულ და ქართულ - ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ეწოდოს ისტორიული სახელი ფოთი - ფაზისი. იქვე ვფიქრობთ მომწიფდა და დროული არის არგუმენტირებული პასუხის გაცემა საბოლოო წერტილის დასმით ქართული ანბანის წარმოშობის, „ვეფხისტყაოსნის„ ქართული წარმომავლობისა და თავად ფოთი - ფაზისის და სხვა მტკივნეულ ეროვნულ თემებზე ყოვლად არამეცნიერული და პროვოკაციულ - მტრულ გამოხტომებს. სამწუხაროდ, ამ პროვოკაციებისა და სხვა გაუგებრობების მიზეზი ზემოთ დასახელებული ისტორიული თარიღებისა და გეოგრაფიული ცენტრების დღემდე დაუდგენელობა და ამდენად უკანონობა გვევლინება. რატომ? როდემდე გავაგრძელოთ ეს ისტორიული უსამართლობა? ამასთან ისტორიულ ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად როგორც საფუძველი წარმოგიდგენთ „ფაზისის" აკადემიის მიერ სამეცნიერო სესიებზე ამ თემატიკით განხილულ ყოველწლიურ ჟურნალ „ალმანახს", „ცოტნეიდელს", (ცოტნე დადიანის მიმდევრები). დღესასწაულის „ფაზისქალაქობის" 1996 წლის 24 ნოემბრის ვიდეოსტენოგრაფიულ ჩანაწერს განთავსებულს 2 დისკზე. ამ თარიღს უკავშირდება ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის აღმართვა სამეგრელოში - ფოთში.

გთხოვთ თქვენთვის ჩვეულ მხარდამჭერ გადაწყვეტილებებს საქართველოს ზემდგომ სადირექტივო ორგანოებში წარგზავნისა და განხილვა - დამტკიცებისათვის.

ზემოთ დასახელებული ადრესატები გულწრფელად უღრმეს მადლობას გიხდით გამოჩენილი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

საქართველოს „ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმისა და მრავალ ათასიან წევრთა სახელით:

**ნუგზარ ნადარია,**

საქართველოს -„ფაზისის"- საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი;

**გერონტი კუხალეიშვილი,**

ქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარე, აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი;

**ლია წურწუმია,**

აკადემიის სწავლული მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი.

ქ. თბილისი- ზუგდიდი- ფაზისი- გელათი- დიოსკურია- იყალთო.

**რედაქციისგან:**

ფაზისის აკადემიის მესვეურთა ეს შეძახილი მართლაც გამოსაფხიზლებელია.ყველა მოთხოვნა გასათვალისწინებელია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ძვ. წ. აღ. XI-IX საუკუნეთა მანძილზე, დიდი ასურელი მე ფე-დამპყრობლის ტიგლათფილასერ I-ის შემდგომ ხანაში, ურარტუს ძლიერ სახელმწიფოსთან ბრძოლაში, ჩამოყალიბდა კოლხეთის (კოლხა) სახელმწიფო. ერთიანი პოლიტიკური ერთეული თავისი „მეფით", „სამეფო ქალაქებით", პროვინციათა გამგებელი მეფისნაცვლებით და ა.შ. მან თავისი გავლენა გაავრცო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ზღვისპირეთის ვრცელ მიწა-წყალზე. რამაც ხელი შეუწყო ამ მხარეში მცხოვრები ტომების კულტურული ერთობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, რომელიც „კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი".

როგორც აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი წერს, ძველი კოლხეთი, რომელიც ძვ.წ. აღ. XI-VIII საუკუნეებში არსებობდა, ქართველი ტომების ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.

ამდენად, სრული უფლება გვაქვს ვიზეიმოთ ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 ათასი წლისთავი.

1937 წელს საბჭოთა საქართველომ „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავი იზეიმა, 1966 წელს - 850 წლისთავი. დამოუკიდებელმა საქართველომ კი ვერ შეძლო „ქართველთა ბიბლიის" 850 წლისთავის აღნიშვნა, ვაი, სირცხვილო!

ფაზისის აკადემია სრულიად მართალია მესამე მოთხოვნასთან დაკავშირებითაც, კერძოდ, ფოთი-ფაზისის იგივეობის შესახებ.

ძვ. წ. აღ. V საუკუნის დასასრულის ბერძენ ავტორს ქსენოფონტეს ლეგენდარული კოლხეთის მემკვიდრეთა სამეფო მდინარე ფაზისზე (რაიონზე) მდებარედ წარმოედგინა. ამ დროს უკვე არსებობდა ძველი ბერძნული ახალშენი მდინარე ფაზისის შესართავთან- ქალაქი ფაზისი (დღევანდელი ფოთის მიდამოებში).

როგორც აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი გვამცნობს, დღევანდელი საქართველოს ზღვისპირას არსებული ბერძნული ახალშენებიდან ფაზისის გარდა ცნობილია მოენოსი (ოჩამჩირე) და დიოსკურია (სოხუმი).

ეს საფუძველს იძლევა, რომ ფოთელთა თხოვნა დაკმაყოფილდეს - ფოთს ფოთი-ფაზისი ეწოდოს.

## ფოთში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნა
## უკანასკნელი მსოფლიო ომის, უკანასკნელი ვეტერანები







9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღე დიდების მემორიალთან შეკრებილ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებსა და მათი ოჯახის წევრებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კაკულიამ და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიულოცეს. ვეტერანებმა თანამებრძოლები გაიხსენეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. „განსაკუთრებული მოწიწებით ვულოცავ ამ დღეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ჩვენს სახელოვან ვეტერანებს და ქედს ვიხრი მათ წინაშე. ჩვენი, როგორც სახელმწიფოს, ვალია განსაკუთრებით ვიზრუნოთ ვეტერანებზე, სათანადო პატივი მივაგოთ მათ, ყველა პირობა შევუქმნათ ღირსეული და დაფასებული ცხოვრებისთვის" -აღნიშნა სიტყვით გამოვლისას ქალაქის მერმა.

ასევე შეკრებილებს გამარჯვების დღე მიულოცა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გია დარჯანიამ და ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ შენგელიამ. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ დღეს ფოთში ირიცხება 5 მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, 7 ავღანეთის, 1 უნგრეთის და 13 მორე მსოფლიო ომთან გათანაბრებულები, რომლებიც მთავრობის ყურადღების ქვეშ იმყოფებიან. მან ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა ყველა ომის მონაწილეს.

ვეტერანებმა ასევე გვირგვინებით შეამკეს ყოფილი ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეების გრიგოლ დარჯანიასა და ალია ვაშალომიძის საფლავები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაულია იმ ვეტერანებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ღონისძიებას ვერ დაესწრო შინ ესტუმრა და გამარჯვების დღე პირადად მიულოცა.

ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ვეტერანებს ერთჯერადი დახმარების სახით ფოთის მუნიციპალიტეტისგან საჩუქრად 350 ლარი გადაეცემათ.

ადამიანი დროში

# რამინ აბლოთია – ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი



ურთულესი ცხოვრების გზა განვლო ბატონმა **რამინ აბლოთიამ** თავისი მოღვაწეობის გზაზე, რომ არაფერი ვთქვათ დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი წლების უმძიმეს და გაუსაძლის ცხოვრებაზე, სკოლაში და მოსკოვში სწავლის წლებზე, რომელმაც ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ამის შემდეგ შრომითი საქმიანობა ქ. ტყვარჩელში, ქ. გალში და ქ. სოხუმში სხვადასხვა თანამდებობაზე, ამ პერიოდში ცხოვრების შუაგულში, წარმატებული საქმიანობით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ავანგარდში ყოფნით, დიდი მონდომებითა და მოთმინებით აღმასვლა ცხოვრების კიბეზე. საერთო ჯამში საქმისადმი ღრმა რწმენით, კეთილი საქმის კეთებით მუდამ მრავალფეროვანი საქმიანობის დიდ სარბიელზეა.

ყველაზე რთული მრავალწახნაგოვანი არის ცხოვრების ის სფერო, რომელიც დევნილობასთანაა დაკავშირებული, მან ერთხელ კიდევ დაანახა თუ რამდენად რთული მოულოდნელობებითაა აღსავსე გზა, რომელიც ბედმა ცხოვრებისეულ რეალობად მოუვლინა.

როცა პიროვნების განვლილ გზას გადახედავ, ნათლად ჩანს რეალობების მრავალფეროვან ურთიერთობათა ურთიერთგადახლართული ცხოვრების იდილია. მას ნათლად ადასტურებს, ის განვლილი ცხოვრების გზა, რომელიც გაიარა ბატონმა რამინმა თავისი ხანგრძლივი საქმიანობის ყველა სფეროში.

ბატონი რამინი საქართველოს ნიკო ნიკოლაძის (სოხუმის აკად. ი. ვეკუას) სახელობის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის აკადემიის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. აკადემიკოსი. 2000 წლიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი. აკადემიკოსი, უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო შრომების მთავარი რედაქტორი. გაზეთის ,,დიოსკურია" და ჟურნალის ,,მედიკოსი" დამაარსებელი. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ,,მოამბის", საზოგადოებრივ–ლიტერატურული ალმანახის ,,კარიბჭის" და „კირბისის" რედკოლეგიის წევრი. ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, საზოგადოება ,,სამურზაყანოს" და საზოგადოება ,,სოხუმის" საპატიო წევრი. მრავალი სახელმძღვანელოსა და მეთოდური ნაშრომის ავტორი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

რამინ აბლითია დაიბადა გალის რაიონში, სოფ. თაგილონში 1937 წელს. დაამთავრა გალის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლა. 1965 წელს კი შვერნიკის სახელობის მოსკოვის შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის აკადემია, შემდეგ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

რ. აბლოთია 1980 წლიდან დოცენტია, 1991 წლიდან – პროფესორი. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებში: გალი, ტყვარჩელი, სოხუმი.

იმყოფებოდა ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე ტყვარჩელში, 1962 წელს არჩეულ იქნა სოფლის მეურნეობის პროფკავშირის გალის რაიკომის თავმჯდომარედ. 1967 წელს კი სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ. შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებების პროფკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ. რამდენიმე წელი მუშაობდა აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს აპარატში.

1974 წლიდან იწყებს პედაგოგიურ–სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, სადაც გაიარა ეტაპები უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის, კათედრის გამგისა და პრორექტორის. 1991-1992 წლებში საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფაკულტეტის დეკანი, შემდგომში კი მისი პრორექტორი. მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებში, თეორიული და კონკრეტული ეკონომიკის აქტიურ საკითხებზე. 1988 წელს გამოვიდა მოსკოვში მოხსენებით საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტისა და ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერი კონფერეციებზე, რომელიც დაიბეჭდა შრომებად.

რამინ აბლოთიას მეცნიერული კვლევის ინტერესს, ძირითადად თეორიული ეკონომიკა წარმოადგენს, კერძოდ ისეთი პრობლემები, როგორიცაა: შრომის ეკონომიკა, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები, შრომის ხასიათი და მისი თვისებები კონკრეტული ეკონომიკის აქტუალურ ამოცანებთან კონტექსტში. მის შრომებში თეორიული პრობლემების განზოგადება ხდება საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პორობების რეალური მდგომარეობის ღრმად შესწავლის საფუძვლებზე. ამ და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 65 სტატია და 5 მონოგრაფია, ერთი სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში. გამოქვეყნებული აქვს დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ეკონომიკით დაინტერესებულ პირთათვის, „თეორიული ეკონომიკის საფუძვლებში" პროფესორ დავით ჯიშკარიანთან ერთად. გამოცემული აქვს ისტორიული გამოკვლევა „ჯანდაცვის განვითარების საკითხებისათვის აფხაზეთში", პროფესორ რევაზ სალიასთან ერთად გამოშვებული აქვს მეთოდური ხასიათის ნაშრომები „ლექტორის ხელოვნება" და „სტუდენტის ცნობარი".

1991 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა სოხუმის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტი, რომელმაც მოკლე პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და გახდა საქართველოს კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე მრავალპროფილიანი კადრების მძლავრი მომზადების კერა. იგი 1994 წელს აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების შემდგომ განთავსდა ქ. ფოთში, ფილიალები ქ. თბილისში და ქ. ზუგდიდში.

90-იანი წლების კონფლიქტისა და დაპირისპირების პერიოდში, როცა ცხოვრების ნორმალურ პირობებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო ამ პერიოდში, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტის საქმიანობა ქ. ფოთის და ქ. ზუგდიდის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განახლებისა და განვითარების საქმეში, სხვადასხვა მხატვრული კოლექტივების საქმიანობის და სპორტული ღონისძიებების ჩატარების საქმეში. ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას ქალაქის სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ეხმარებოდა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლაში გამოირჩეოდნენ, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობა უშლიდა ხელს, ეხმარებოდა დევნილებს. კვალიფიციური პროფესორ - მასწავლებლების ჩართვის შედეგად მაღალი იყო სასწავლო - აღმზრდელობითი საქმიანობის დონე, რამაც შესაძლებელი გახადა ეს უნივერსიტეტი გამხდარიყო რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე კერძო სასწავლებელი, რომელსაც 1994 წლიდან გამოშვებული ყავს 17 ათასზე მეტი ექიმი, იურისტი, ეკონომისტი, ფილოლოგი, რომლებიც საქმიანობენ საქართველოს ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ, რამდენიმე მათგანი მეცნიერებათა დოქტორია და წარმატებით წყვეტს საზოგადოების ამა თუ იმ პრობლემებს.

თავად დიდი ინტელექტის მქონე რამინ აბლოთია ჩართულია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობაში. XXI საუკუნის პოლიტიკური ბატალიებისა და ვიწრო კულუარული ამბების ულევი წყარო გააჩნია. არის დაუზარელი და საუკეთესო მთხრობელი. აფხაზეთის ტრაგიკულ თავგადასავლებს იგი ისევე განიცდის, როგორც ყველა ჭეშმარიტი პატრიოტი და ცდილობს პედაგოგიურ–საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად თავისი წვლილი შეიტანოს იმ დაუოკებელი სურვილის აღსრულებაში, რასაც აფხაზეთის დაბრუნება და აღმშენებლობა ჰქვია. ამ იდეითაა გამსჭვალული უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი.

ძნელია ლექტორის საქმიანობა. მისი მოღვაწეობა ხელოვანის მოღვაწეობას ჰგავს, მას არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ დგას არა ცხოვრებით დადინჯებული, გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანების, არამედ მგზნებარე ახალგაზრდების წინაშე. მათ სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებასა და მომზადებაზე დიდი საქმეების საკეთებლად, უდიდეს გავლენას ლექციები ახდენს, რომლის სწორად და მიზნობრივად წარმართვა ლექტორის ხელოვნებაზეა დამოკიდებული. დამღლელი და ინფორმაციით გადატვირთული ლექცია სახარბიელო შედეგს არ იძლევა. სტუდენტთა გულისხმიერების ჩამოყალიბება და სწავლისადმი ინტერესიანი განწყობის შექმნა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის გადაცემაზე არ არის დამოკიდებული, უმთავრესი სტუდენტთა მუშაობის ორგანიზაცია, ლექტორის ოსტატობა და წაკითხული ლექციის შედეგებია, რაც ითვალისწინებს ინფორმაციულ და აღმზრდელობით ხასიათს და სხვადასხვა დიდაქტიკურ მიზნებს.

რამინ აბლოთიამ მხატვრულ მწერლობაშიც სცადა კალამი. მისი ნაწარმოებები ქვეყნდება ჟურნალებში: ,,კარიბჭეში", ,,ორნატში", „ორბეთში" და ა.შ.

2001 წელს გამოვიდა მისი დოკუმენტური მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული ,,წარსულის ანარეკლი", რისთვისაც დაიმსახურა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ბატონი რამინი, სრულიად დაიხარჯა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, მან თავისი ენერგია და შესაძლებლობები მოახმარა განათლების სფეროში ბრძოლას და განვითარების საქმეს.

პროფესორი რამინ აბლოთია აფხაზეთში, კერძოდ ქ. სოხუმში ცხოვრების პერიოდში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მაქსიმალურად დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მოსახლეობის ნაწილში სეპარატისტული განწყობა დომინირებდა, ბატონი რამინი შესანიშნავად ურთიერთობდა აფხაზებთან, მის ინტელიგენციასთან ამყარებდა შეძლებისდაგვარად ნორმალურ ცხოვრებისეულ ურთიერთობას, რომელიც გაგრძელდა და გრძელდება აფხაზეთში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად.

უნივერსიტეტის დამაარსებელი და რექტორი, ბატონი რამინ აბლოთია, მრწამსით უპირველესად, ტიპიური პედაგოგია, რომელსაც ახალგაზრდის პიროვნებად ფორმირება უფრო დიდ სამომავლო საქმედ მიაჩნია, ვიდრე გამოუყენებელი ცოდნით მისი დამძიმება. თავის წიგნს ,,ლექტორის ხელოვნება", რომლის ავტორობასაც ბატონი რამინი პროფესორ სალიასთან ერთად იზიარებს, წაუმძღვარა დიდი ქართული განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: ,,ის საუცხოო ციხესიმაგრე, რომელსაც ცოდნა, განათლება, კულტურა, ცივილიზაცია ეწოდება, აგებულია კაცობრიობის საუკეთესო შვილთა, მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე ახლის ძიების, ბრძოლის, დამარცხებისა და წარმატებების შედეგად და მასში შესვლა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც დაჯილდოვებულია თავდადებული შრომისმოყვარეობით, სწავლის უშრეტი სიყვარულით, მუდამ წინსვლის გზნებით, უანგარო და სპეტაკი სინდისით".

პროფესორი რამინ აბლოთია იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც თავისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა მიუძღვნეს ახალგაზრდობის პროფესიულ და კვალიფიციურ აღზრდას. მისი ყოველდღიური ურთიერთობა მუდამ რჩებოდა ადამიანური სიყვარულით, თანაგრძნობითა და მხარდაჭერით გაჯერებული, რაც საზოგადოებაში განსაკუთრებულ პატივისცემასა და სიმპატიას იმსახურებდა. ბატონი რამინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა ჭარბად მეტყველებს, რომ მისი შემოქმედება ეს არის საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მენეჯერის ნამდვილი სახე.

ბატონ რამინს ჰყავს მეუღლე ნანული თოლორაია და შვილები გოჩა და თენგიზი, რომლებიც მხარში უდგანან მას თავისი საქმიანობით სხვადასხვა სფეროში.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
**ბესარიონ ნაყოფია**

საქართველოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი
**მალხაზ გვიჩია**

აქ იბეჭდება ჩვენი გაზეთი

პატარა საწარმო გამარჯვების დიდ გზაზე

# სტამბა ,,ირიდა", ანუ ცისარტყელას ქალღმერთი




ძნელი იყო პოლიგრაფიული სტამბა ,,ირიდას" პირველი ნაბიჯები, რომლის დამფუძნებლები არიან გიორგი (ბაჩუკი) ნოდია და რომან თავართქილაძე.

ყველაფერი დაიწყო 1991 წლიდან. მათი ერთადერთი და პირველი საბეჭდი მანქანა იყო ,,რომაიერი", მაგრამ საოცარი ოპტიმიზმის წყალობით, უშრეტი ენერგიითა და შეუპოვრობით შექმნეს ფოთში თანამედროვე ტიპოგრაფიული სტამბა. დღეს ის აღჭურვილია უახლესი მანქანა - დანადგარებით, როგორიცაა საკმაოდ ცნობილი ბრენდები ,,ჰეიდელბერგი", ,,რიობი", ,,როლანდი", ,,ჰორიზონი", ,,ფუჯი", ,,აგფა", ფერადი ქსეროქსი და ა. შ.

წარმოუდგენელი იყო, რომ სულ მოკლე პერიოდში სტამბა ,,ირიდა" შეძლებდა ფერადი ჟურნალების, წიგნების, ბუკლეტების, ბროშურების, კალენდრების, სტიკერების, ეტიკეტების, ბლანკების, კონვერტების, საქაღალდეების, სასაჩუქრე ატრიბუტიკის (მაისურებს, კეტებს, სანთებელებს, კალმებს, ქოლგებს) დაბეჭდვას აქ ხელეწიფებათ აგრეთვე ლამინირება, ტრაფარეტული ბეჭდვა (შოლკოგრაფია), თერმოტრანსფერი, თერმოგრაფია (ფოტო გამოსახულებების გადატანა ქსოვილზე და ჭიქაზე).

ასე რომ, ეს თანამედროვე სტამბაა,მუდამ მზად მყოფი თქვენი ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფისათვის.



აქ იღწვიან ისეთი პოლიგრაფისტები, რომლებიც ტოლს არ უდებენ ქვეყანაში



გამოჩენილ პოლიგრაფისტებს. საოცარი ტანდემი ჩამოყალიბდა გიორგი (ბაჩუკი) ნოდიასა და რომან თავართქილაძის სახით. მათ გვერდით არიან ახალგაზრდები, რომლებიც მხარში უდგანან საწარმოს ხელმძღვანელებს, რომლებიც გამომირჩევიან შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით. ესენი არიან ფინანსური მენეჯერი დარეჯან ჩაჩავა, პოლიგრაფისტები ემზარ კილასონია, დავით თავართქილაძე, დავით ჯახაია. აქვე მუშაობენ ახალგაზრდა სპეციალისტები, ოპერატორ - დიზაინერი ქეთევან ჩხარტიშვილი, ელიზა რიჟამაძე, მაკა ბერძენიშვილი; ირინა ჯაში.

როცა აქ გაზეთი იბეჭდება ყველა მათგანისგან საოცარ ყურადღებას ვგრძნობთ, მიუხედავბად იმისა გვაქვს თუაარა შეხება მათთან. განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვთქვათ გიორგი ნოდიას მისამართით, იმ ყურადღებისა და ლოიალობისათვის, რასაც ჩვენი დარიბი გაზეთის მიმართ იჩენს. იგი არამხოლოდ კარგი ტიპოგრაფისტი და ხელმძღვანელია, არამედ კარგი მკითხველი და შემფასებელიცაა. ამიტომაც აქ წესრიგი, მონდომება და ურთიერთ პატივისცემაა.



ეს მართლაც ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტამბაა, რომელსაც წინ ახალი წარმატებები ელის.

P.S. *ამასწინათ ბატონ რომან თავართქილაზეს შეუსრულდა 70 წელი, სულითადა გულით ულოცავს რედაქცია მას დაბადების დღეს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.*

*უძველესი კოლხური ენა მსოფლიო ისტორიის საოცრებებს ინახავს*

# საქართველოში, საბედნიეროდ, დღემდე

ძველ მეგრულ-ლაზურ-სვანური ტოპონიმების შესახებ, საუბარს ნამდვილად არ ვაპირებდი, ვინაიდან, ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ ქართველი ერის წინარე ისტორიის საფუძველთა - საფუძველი (საწყისი) მეგრულ-ლაზურ-სვანურია და ამაში გასაკვირიც არაფერია, სიამაყის გრძნობის გარდა. სამწუხაროა, ის რომ გარკვეული ნაწილი ქართველი მეცნიერებისა და მის ლანდს გამოკიდებული ე.წ. მკვლევარების მიერ ხდება უხეში ჩარევა ჩვენი წინარე ისტორიის მიმართებაში, სადაც მეგრუ-ლაზურ-სვანური მოხსენიებულია კილოკავად, საოჯახო და ჩამორჩენილ ენად, როდესაც ეს სამი ენა ერთ მთლიანობაში არის მარგალიტი, მარაგი ქართული ენის, რომელიც 14 დამწერლობათა შორის, ერთერთ გამორჩეულ დამწერლობად ითვლება მსოფლიოში, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, ჩვენი წარსული ისტორიის მაღალი კულტურის მქონე უდიდეს ცივილიზაციაზე, რის შესახებ, მსოფლიოში, არა ერთი ცნობილი მეცნიერების გამოკვლევები ადასტურებენ. მათ შორის, ცნობილი გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ ჰუმბოლტი, რომლის კვლევებმა ბასკური ენის და პირინეის კუნძულების სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული - ზვ. გამსახურდია.

დღეს კი, (და არა მარტო დღეს) მიმდინარეობს მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების დაკნინებით მოხსენიება, სადაც დაბუდებული ღვარძლი უფრო სჭარბობს, ვიდრე ჩვენი წინარე კულტურის სამართლიანი წარმოჩენა და მისი უზენაესობის აღიარება. ასევე მინდა აღვნიშნო, არა ნაკლებ (მეტი თუ არა) საგანგაშო ფაქტების შესახებ, რომელიც უკავშირდება პირველადი ენის, ისტორიული მნიშვნელობის ტოპონიმების მითვისებას ასოთა ჩანაცვლებით და საკუთარზე მორგება (მრავალი საუკუნეების მანძილზე) გაბატონებულთა მიერ. რაშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძველი ბერძნები, სპარსელები და რომაელები. აი, ამის საპირისპიროდ უნდა მიმართონ ქართველმა მეცნიერებმა მთელი თავისი ძალისხმევა, ცოდნა და ენერგია, უცხოტომელების მიერ მოპარული, ისტორიული მნიშვნელობის ტოპონიმების უკან თავის დედა ენაში დაბრუნებისთვის. სამწუხაროდ, ამის შესახებ კარგა ხანია დუმს ქართველი მემატიანე-ისტორიკოსების მთელი არმადა. სამაგიეროდ, არ დუმან ქართული ენის წარმოჩენაზე, მეგრულ-ლაზურ-სვანური ენების დაკნინებისა და მიჩქმალვის ხარჯზე. ამით კი, თავად უარყოფენ იმ ისტორიულ ფაქტს, რომელიც უკავშირდება ქუჯი ეგრისელისა და ფარნავაზ ქართველის ძმობას, როდესაც ფარნავაზი ეწვია ეგრისის მმართველს ქუჯის და მისგან ზე შთაგონებრივი სიტყვები მოისმინა: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი“. ეს იყო სრულიად საიდუმლოებით მოცული შეხვედრა, რომლის სრული დიალოგი დღემდე უცნობია. ცნობილია მხოლოდ ლაზური ენის მიძინებისა და ქართული ენის უფლობის შესახებ, მოცემულ დღეღმდე, მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად.

აქედან გამომდინარე, სამწუხაროა, რადგან კვლავ დადგა ამისი საჭიროება, გადავწყვიტე, ქართველი ერის წინარე ისტორიის (მეგრულ-ლაზურ-სვანური) უკეთ დანახვისა და ობიექტურად წარმოჩენის მიზნით განვმარტავ, საქართველოში, საბედნიეროდ დღემდე, შემორჩენილი მეგრულ-ლაზურ-სვანური ტოპონიმების არსებობის შესახებ:

1. იბერია-ძველ მეგრულ-ლაზური სიტყვაა და ნიშნავს: ღვთის მორწმუნე ხალხით დასახლებულ უდიდეს ტერიტორიას. თავსართი „ი“ ნიშნავს: -ის, „ბერ“ - ღვთისმორწმუნე ბერული ცხოვრებით მოღვაწეს, „ია“ - პირველს, გაბრწყინებულს, რაც ასევე, სიმბოლურად უკავშირდება გაზაფხულის პირველ ყვავილს - იას.

2. ქალხეთა და არა ძველი ბერძნების მიერ სახელცვლილი კოლხეთი. ქალხეთა ძველ მეგრულ-ლაზური სიტყვაა და ნიშნავს: გვირგვინოსანი მეფე ზის აქ. მეგრული „ქა“, რაც ქართულად რქას ნიშნავს, ზეციურ გვირგვინს, (თავსაბურავი რქის ფორმის), რომელსაც ატარებდა ნებროთი, მას შემდეგ, რაც მან პირველმა იხილა გვირგვინი ცათა შინა. ამ ნიშანს ასევე ატარებდნენ ლაზი მოგვები, სალიმის მეფე მელქისედეკი, დანიელ წინასწარმეტყველი და მოსე, რომელიც სინას მთიდან დაბრუნებული რქის ფორმის თავსაბურავით მოევლინა თავის ხალხს. „ალ“ ნიშნავს: ნათებას, მარადიულ სუბსტანციას-ღმერთს. „ხე“ ნიშნავს: ზის, „თა“ ნიშნავს: აქ. ასევე, ხეთა ნიშნავს: ქალაქ-სახელმწიფოს, სადაც წარღვნის შემდეგ პირველი ხალდის (არქეტიკული ღვთაება) საღვთისმეტყველო სკოლა დაარსდა, რომელიც ნოეს სასულიერო სკოლის სახელით არის ცნობილი. ხალდი, რაც ნიშნავს: შობილი ლაზი დედისაგან და იგი ასე განიმარტება: „ხა“ - მეგრულ-ლაზური სიტყვაა და ნიშნავს: შობილი, შობს. „ლ“- ლაზი, „დი“ - დედა. ქალდი, ხალდი, ჰალ, ალ- ეს არის არქეტიკული ღვთაება პრეისტორიულ საქართველოში, რომელიც არ არის ენა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს.

3. ჰალიას ტომი და არა ძველ ბერძნების მიერ ასოთაცვლილი პალიასტომი. ჰალ, ალ, სვანურად ჰე, რაც ნიშნავს: ცეცხლს, ალს, მანათობელს, მარადიულ სუბსტანციას - ღმერთს. ეს იყო ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ღვთისმორწმუნე ბერები.

4. ხაშური - ძველ მეგრული სიტყვაა და ასე განიმარტება: „ხა“ - შობას, შობილს; „შური“ - სული, რაც ქართულად ნიშნავს: შობილს სულისაგან.

5. გორი - ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: ეძებე-ს.

6. ანგ - სვანური სიტყვაა და ნიშნავს: წმინდა ხეს.

7. ოჩხამური (მდინარე გურიაში) - რაც ნიშნავს: სათევზაოს.

8. რიკოთულა - ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: „რიკოთ“ - უღელტეხილს; „ულა“ - სვლას, გადასვლას. უღელტეხილზე გადასვლა.

9. ქობალეთი და არა დღევანდელი ქობულეთი, რაც ნიშნავს: საპურეს ანუ ხორბლის ყანას.

10. ხეთა (ხობის რ-ნი) რაც ნიშნავს: ზის აქ.

11. არაგვი - ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: შეეტაკე, შეეტაკა.

12. არიანეს ცნობით, დღევანდელ ქუთაისს ძველი ბერძნები კიტეას, კოტიაონს უწოდებდნენ. ლაზები კი - ქუთათისო, მეგრელები - ქუთეში, რაც ქვით, ქვიანს, ქვითნაშენს ნიშნავს.

13. ვარძირან და არა ვარძია, რაც ნიშნავს: არ განხონ (მტრის შემოსევებისაგან დასამალი ადგილი).

14. რეჭა და არა რაჭა, რაც ნიშნავს: არის ჩალა, მიუთითებს სიმინდის (ლაითი) უზარმაზარ ტერიტორიას.

15. გურია - ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: გულს.

16. იმერეთი - ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: „იმერ“- იქეთ; „რეთი“ - ხართ.

17. ლაზიანე (დედა ქალღმერთი) და არა ძველბერძნების მიერ სახელცვლილი ფასიანე, რომლის ქანდაკება იყო აღმართული ლაზისში (დღევანდელი ფოთი), სადაც რიონი უერთდება ზღვას.

18. მადია და არა ძველბერძნების მიერ სახელცვლილი მედეა. მადია ლაზური სიტყვაა და იგი ასე განიმარტება: „მა“ - მე; „დია“ - დედა. მედიცინის დედა ქალღმერთი - მადია.

ასევე სხვა უამრავი ტოპონიმები, რომელთა არსებობა დღევანდელ საქართველოში მრავალია, რაც რეალურად მოწმობს იმაზე, რომ პირველი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული(ძველმეგრულ-ლაზურ-სვანური).

აი, ამის წარმოჩენა არ სურთ ქართველი მეცნიერების საკმაოდ დიდ ნაწილს, რომლებიც მხოლოდ სიყალბის თხზვაში არიან დაკავებული. რეალურად კი ვერ ხედავ თავად ქართული ენის უდიდეს ბრწყინვალებას, მის საღვთო მისიას დასაბამისეული, ლაზური ენის მიმართებაში. ეს გახლდათ ის მიზეზი რამაც გადამაწყვეტინა საქართველოში, საბედნიეროდ, დღემდე შემორჩენილი ძველ მეგრულ-ლაზურ-სვანური ტოპონიმების არსებობის შესახებ და მას ვერავითარი ისტორიული მტვერი ვერ დაფარავს, უბრალოდ დროის ამბავია და მეტი არაფერი,რასაც ასე დიდი მოთმინებით ველოდებით!!!

*იხ. გაგრძელება შემდეგ ნომერში.*

ნიკოლოზ იბერი
22.04.2017წ.

# რეზო გაგუა

## დიდი მეცნიერისა და დასტაქარის ხსოვნას



გარდაიცვალა გამოცენილი ონკოლოგი, ქირურგი, მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი,საქართველოს სახელმწიფო და ეროვნულიპრემიების ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ გაგუა**.

იგი დაიბადა 1944წ. ქ. ფოთში. 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაცია. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრს. ბატონი რეზო ეკუთვნოდა იმ გამორჩეულ ქართველ მეცნიერთა რიგს, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ მედიცინაში. მისი სახელი ასოცირდება თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ ურთულეს და უმნიშვნელოვანეს დარგთან, ონკოლოგიასთან, მის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ჩვენს ქვეყანაში.

პროფ. რეზო გაგუამ იტვირთა ის ურთულესი მისია-ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი მოეძებნა გამოსავალი და მძიმე დიაგნოზის შემთხვევაშიც ებრძოლა პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად. ყველა მისი ინტერვიუ თუ ჩვეულებრივი საუბარი იწყებოდა სიტყვებით: ,,კიბო დიაგნოზია და არა განაჩენი". ასობით გადარჩენილმა სიცოცხლემ და მადლიერმა პაციენტებმა განაპირობა ქართველი საზოგადოების მისადმი ასეთი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა.

დიდი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, გამოჩენილი მეცნიერი და ქირურგი თავისი განვლილი ცხოვრების წესით მისაბაძი გახდა ახალგაზრდა თაობებისათვის. სამაგალითო ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, სიკეთე და ბევრი სხვა თვისება ამშვენებდა და აკეთილშობილებდა მის პიროვნებას.

ბატონი რეზოს ხელმძღვანელობით საქართველოში ჩამოყალიბდა ონკოლოგიური სკოლა, რომელმაც ქვეყანას აღუზარდა არაერთი გამოჩენილი ექიმი-ონკოლოგი. მათი უმეტესობა დღეს დამოუკიდებელი და სახელმოხვეჭილი მეცნიერია. რ. გაგუას უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა, პერსპექტიული ექიმების მომზადებაში, რომლებიც დღეს ნაყოფიერად მუშაობენ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პროფ. რ. გაგუას ძირითადი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობის სფეროს წარმოადგენდა თორაკალური ქირურგია - ფილტვის კიბოს დიაგნოსტიკა და მკურნალობა, შუასაყარის ახალწარმონაქმების ქირურგიული მკურნალობა, ტრაქეობრონქული ქირურგია და ოპერაციის შემდგომ გართულებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი ეფექტური გზების ძიება, მის მიერ საქართველოში პირველად განხორციელდა ფილტვის სიმსივნის დროს პერიფერიული ბრონქების კათეტერიზაცია ფიბრობრონქოსკოპის საშუალებით, ტრაქეის გულმკერდის ნაწილის ცირკულარული რეზექცია, ლობექტომია მთავარი ბრონქის ცირკულარული რეზექციით და ტრაქეის ბიფურკაციის რეზექცია. დაწყებული იქნა ფილტვის რეციდივებისა და მეტასტაზური სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა. ბატონი რეზო არის რიგი გამოგონებისა რაციონალიზატორული წინადადების, 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი.

მისი დიდი ღვაწლი მეცნიერებისა და პრაქტიკული მედიცინის წინაშე აღინიშნა არაერთი სახელმწიფო თუ საერთაშორისო ჯილდოთი. იგი იყო სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი, არაერთი სამეცნიერო და საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ექსპერტი ონკოლოგიაში, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, აგრეთვე ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე.

რთულია, ჩამოთვალო ყველა ის მიღწევა, რამაც განაპირობა მისდამი ესოდენ სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებაში. ასეთი დაფასება და აღიარება თავისთავად არ მოდის, მის უკან არის დაუღალავი შრომა, სიძნელე და დაბრკოლება, ბატონი რეზოს მიერ განვლილი გზა-ეს არის ღირსეული, სამაგალითო ადამიანის ცხოვრების გზა.

პროფესორ რეზო გაგუას სახელი დაუვიწყარი დარჩება მთელი სამედიცინო საზოგადოებისთვის.

**საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება**

---

***მუსიკის სამყაროში***

*ფოთელი ნორჩი პიანისტის მორიგი წარმატება*

# *ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!*

## *ინტერვიუ საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურსების ლაურეატთან ლიკა ცაავასთან*



ჯერ მხოლოდ ახალბედაა, მოსწავლეა, საფორტეპიანო ხელოვნების ზღურბლთან მდგარია, არ არის გაუბედავი, რადგან დამკვალიანებელი და გზაზე გამყვანი ისეთი ჰყავს, ბევრი რომ ინატრებდა და სურვილს ვერ აიხდენდა. არჩილ ხორავას სახელობის ფოთის სახელოვნებო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების წარჩინებულ მოსწავლეზე ლიკა ცაავასა და მის პედაგოგზე, სასწავლებლის დირექტორზე, ქალბატონ ლია ეჯიბიაზეა საუბარი. დიახ, პედაგოგმა და მოსწავლემ ბოლო ხანს რამდენიმე მნიშვნელოვან შემოქმედებით გამარჯვებასა და აღიარებას მიაღწიეს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საფორტეპიანო ოსტატისა და მისი შეგირდის ნიჭიერებას, მოწოდებას, დაუოკებელ ლტოლვას მუსიკალური სამყაროსაკენ, შემოქმედებით შთაგონებასა და დაუღალავ, რუდუნებით შრომას ჯადოსნურ ინსტრუმენტთან. ყოველივეს თქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ მოსწავლემ და პედაგოგმა კიდევ ერთ შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწიეს სულ ახლახანს თბილისში, ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში გამართულ საფორტეპიანო შემსრულებელთა კონკურსზე სახელწოდებით - ,,ნორჩი ვირტუოზი''. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ლიკა ცაავა და მისი პედაგოგი წარმატებით გამოვიდნენ ესპანეთსა და იტალიაში გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებზე.

ფოთელმა ნორჩმა ვირტუოზმა თბილისის კონკურსზე შესანიშნავად შეასრულა საკონკურსო პროგრამით გათვალისწინებული მუსიკალური ნაწარმოებები: ჩერნის 37-ე ეტიუდი, რუსუდან ხორავას ,,ლირიული ვალსი'' და შავერზაშვილის ,,სკერცო''. კონკურსის ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქვეყნოდ აღიარებული პიანისტები მედეა ალთუნაშვილი და დათუნა ალადაშვილი, განსაკუთრებით აღნიშნა ლიკა ცაავას საკონკურსო გამოსვლა და ჩინებული საფორტეპიანო შესრულება. ლიკა ცაავა ამჟამად, როგორც კონკურსში გამარჯვებული, მიწვეულია კონკურსში გამარჯვებულ შემსრულებელთა გალა კონცერტზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში გაიმართება. ორივე აღნიშნული მოვლენა ფოთელი ახალგაზრდა პიანისტისა და მისი წარმატებული პედაგოგის კიდევ ერთ აღიარებასა და სამომავლო შემოქმედებით მოწოდებაზე მიგვანიშნებს. ლიკა ცაავას წინაშე თანდათან იხსნება რეალური სახელოვნებო ჰორიზონტი, რომლის მიღმა პედაგოგის, მშობლიური სასწავლებლისა და ქალაქის სახელი მოჩანს. ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს ფოთელ ნორჩ პიანისტთან.

*- ლიკა, უპირველეს ყოვლისა, გილოცავ კიდევ ერთ გამარჯვებას, ამჯერად თბილისში, არ უნდა ყოფილიყო, როგორც ვიცით, ეს ასპარეზობა იოლი. რას იტყოდი?*

მადლობა მოლოცვისათვის. დიახ, რთული გამოცდის წინაშე დავდექით მეც და ჩემი პედაგოგიც, ქალბატონი ლია. საკონკურსო ეტიუდების შესრულება ძალზე ძნელია, ენერგიის მობილიზებასა და დიდ მონდომებას მოითხოვს, გასულ წელსაც გვქონდა მეტად საპასუხისმგებლო საერთაშორისო კონკურსები, წარმოიდგინეთ, მსოფლიო დონის ვირტუოზთან პიტერ ბენცთან მოგვიწია გამოსვლა, მაგრამ, არანაკლები იყო ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში ჩატარებული ეს კონკურსი, საქართველოს, კერძოდ, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სხვა ქალაქების უძლიერეს გამომსვლელებთან მომიხდა შესრულება. გალა კონცერტიც, რომელიც გამარჯვებულთა მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში გაიმართება, მეტად საპასუხისმგებლო იქნება. უნდა შევძლო სათანადოდ დაკვრა, ეს ქალბატონი ლიას მოთხოვნაც არის და თხოვნაც.

*-ვის უძღვნი შენს გამარჯვებებსა და წარმატებულ გამოსვლებს?*

მშობლებს და რა თქმა უნდა, ჩემს მასწავლებელს, ადმიანს, რომელმაც ხელი ჩამჭიდა მტკიცედ, ურთულესი ლაბირინთებისაკენ გამიძღვა, ფორტეპიანოს ხიბლს მაზიარა და, რაც მთავარია, შრომა, იგივე მეცადინეობა და მონდომება მასწავლა. თუ დღეს მიზანდასახული ვარ და საფორტეპიანო სამყარო ჩემი სიცოცხლის ნაწილია, ეს ჩემი უსაყვარლესი ადამიანის, უდავოდ შესანიშნავი ხელოვანისა და პედაგოგის, ქალბატონ ლია ეჯიბიას დაუღალავი შრომის შედეგია. სიტყვებით ვერ აღვწერ მის პიროვნულ მხარეებს, მის უდიდეს ზრუნვას ჩემდამი, ის ჩემი მეორე დედაა...

*-მუსიკალურ სამყაროში გყავს იდეალები, ალბათ, ვინ არიან?*

ძნელია ჩამოთვლა, რახმანინოვი, შემსრულებლებიდან რიხტერი. მეამაყება, რომ მქონდა შესაძლებლობა ახლოს გამეცნო ჩემს პედაგოგთან ერთად, თანამედროვე საშემსრულებლო სამყაროს დიდი მაესტრო პიტერ ბენცი, ეს მოხდა გასულ წელს, ბარსელონაში ყოფნისას. ამისათვის დიდი მადლობა ყველა იმ მეცენატ ადამიანს, ბატონ ვახტანგ ალანიას, ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს, უშუალოდ, ბატონ ირაკლი კაკულიას, ,,აიპ ემ ტერმინალსის'' ხელმძრვანელობას, ვინც მხარი დაგვიჭირა მეტად პრესტიჟულ კონკურსზე გამოსასვლელად მე და ჩემს პედაგოგს.

*-ქართველი შემოქმედებიდან, ვისთან ისურვებდი საშემსრულებლო ურთიერთობებს?*

დიდი ხელოვანი და ვირტუოზი, ქალბატონი ელისო ბოლქვაძე ჩემი პედაგოგის უახლოესი ადამიანია, რაც მეამაყება. ძალიან მომწონს და ვაფასებ ხატია ბუნიათიშვილს. კარგია, რომ დღეს მუსიკალურ ხელოვნებას ყურადღება ექცევა, ქართველები ხომ მუსიკის უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული ხალხია. მიხარია, რომ ჩემს ქალაქშიც აფასებენ მუსიკალურ კულტურას, ფოთში უამრავი ნიჭიერი ბავშვია, დარწმუნებული ვარ, თითოეულ მათგანს მომავალში საჭირო პირობები და გარემო შეექმნება, რათა მიზანს მიაღწიონ და სამუსიკო ხელოვნების თანაზიარნი გახდნენ. ყველა მათგან და მათ პედაგოგებს მინდა წარმატება ვუსურვო.

ჩვენც ახალ-ახალ წარმატებებსა და გამარჯვებებს ვუსურვებთ ლიკა ცაავასა და მის პედაგოგს, რომელთა შემოქმედებითი შედეგი და სამომავლო პერსპექტივა საშემსრულებლო სამყაროსკენ მიმართული, უთუოდ საგულისხმო და ქალაქის კულტურული ცხოვრების პოზიტივი იქნება.

**ესაუბრა ლევან კორინთელი**



საკმაო ხანია ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელს უცხოელი სტუმრები არ წვევიან. და აი, 27 აპრილს, სასწავლებლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს შვეიცარიელ ხელოვანთა ორკაციანი ჯგუფი ეწვია, რომელმაც სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის კონცერტი და მასტერ-კლასი ჩაატარა. თომას ჰოიზერმანი (ფორტეპიანო) და გერჰარდ პავლიცა (ვიოლონჩელო), თავის ქვეყანაში ცნობილი ხელოვანები და პედაგოგები არიან. ბატონი ჰოიზერმანი საქართველოს დიდი მეგობარი და ქართული კულტურის, კერძოდ, ფოლკლორისა და საგუნდო მუსიკის თაყვანისმცემელია, ამასთანავე, არის მეცენატი, ქველმოქმედი, ნიჭიერ ბავშვთა მოამაგე, რომლის მეცადინეობით, ბოლო წლებში საქართველოდან შვეიცარიაში სამოგზაუროდ და მოკლევადიანი სასწავლო კურსის გასავლელად 150-მდე ბავშვი იმყოფებოდა. მასვე გამოცემული აქვს ალბომები ქართული ხალხური შემოქმედების ჩანაწერებით. იგი არის საქართველოს მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, საუბრობს ქართულად. კონცერტის დასაწყისში სტუმრების წინაშე წარსდგა სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილების მოსწავლეთა ანსამბლი ,,პირიმზე'', პედაგოგ გია გურგენაძის ხელმძღვანელობით. ფოთელი ნორჩი ფოლკლორისტების შესრულებით მოხარულნი დარჩნენ საპატიო სტუმრები. შემდეგ შვეიცარიელ მუსიკოსებს მიესალმა და ჩამობრძანებული ხელოვანები დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სასწავლებლის დირექტორმა ლია ეჯიბიამ, რომელმაც თომას ჰოიზერმანის შემოქმედებასა და საქველმოქმედო საქმიანობაზე ისაუბრა. შემდეგ საზოგადოების წინაშე თომას ჰოიზერმანი გამოვიდა, რომელმაც თავის მხრივ, აუდიტორიას გერჰარდ პავლიცა გააცნო. კონცერტზე შესრულდა ჰაიდნის, შუმანის, ბრამსის მუსიკალური ნაწარმოებები ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელოსთვის. შესრულებულმა ნაწარმებებმა მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა დიდი მოწონება და ოვაცია დაიმსახურეს. კონცერტის ბოლოს თომას ჰოიზერმანმა მასტერკლასი ჩაატარა ჩვენი სასწავლებლის წარჩინებულ მოსწავლესთან საერთაშორისო და რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალების ლაურეატთან ლიკა ცაავასთან. საწავლებლის დირექტორმა ლია ეჯიბიამ, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ბატონებს ჰოიზერმანსა და პავლიცას, მეტად სასიამოვნო და, ამავდროულად, სასარგებლო და საჭირო შემოქმედებითი საღამოსათვის,შვეიცარიელ ხელოვანთა სტუმრობა, კონცერტი და მასტერ-კლასი სასწავლებლის მუსიკალურ ცხოვრებაში მეტად ეფექტური და შთამაგონებელია, ამგვარი ღონისძიებების პერმანენტულად გამართვა კი უაღრესად დადებით შედეგს მოუტანს ჩვენს პედაგოგებსა და მოსწავლეებს. მადლობა ბატონ თომას ჰოიზერმანს ყველაფრისათვის, საქართველოს დიდი სიყვარულისა და შემოქმედებითი კონტაქტებისათვის, მადლობა ბატონ გერჰარდ პავლიცას, ჩინებული შესრულებისა და კეთილგანწყობისათვის. შესანიშნავი საღამოსათვის, მადლობა მინდა ვუთხრა იმ პიროვნებებს, ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ქალბატონ ნანა კაპანაძეს და მის ოჯახს, ასეთ ძვირფას ადამიანებთან დაკავშირებისათვის. რაც შეეხება მასტერკლასს, ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი სასწავლებლისათვის და უშუალოდ, ლიკა ცაავასათვის.

ღმერთმა ინებოს, ამგვარი შთამბეჭდავი ღონისძიებები კვლავაც გამართულიყოს ჩვენი სასწავლებლის კედლებში.

# თუ პატრულმა გაგაჩერა
## საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში ცვლილებებია, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედდება



დღემდე ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შესძლო მიეღწია საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების აბსოლუტური შემცირებისათვის, ყველა მძღოლისათვის (იქნება ეს მოყვარული თუ პროფესიონალი) აიტერესებთ, როდის ამოქმედდება ცვლილებები ,,საგზაო მოძრაობის შესახებ'' კანონში, რა შემთხვევაში ჩამოაკლდება მართვის მოწმობას ქულები, როდის დაკარგავს მას მძღოლი.

,,საგზაო მოძრაობის შესახებ'' კანონში შეტანილი ცვლილებებით, მართვის მოწმობას 100 ქულა ენიჭება, ხოლო თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ამ 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულის გამოკლებას გამოიწვევს.

კალენდარული წლის განმავლობაში 100 ქულის ნულამდე შემცირების შემთხვევაში, მძღოლს მართვის უფლება შეუწყდება და მის მისაღებად გამოცდის ხელახლა ჩაბარება მოუწევს.

ჩვენი ფიქრით იმ მუხლების ამოქმედებაც, რაც მართვის მოწმობისათვის ქულების მინიჭებას და უკონტაქტო პატრულირების შემოღებას გულისხმობს, საგზაო უსაფრთხოებაში გარდატეხას მოახდენს. უკონტაქტო პატრულირების დროს სპეციალური ავტომობილი პოლიციის აღმნიშვნელი ნიშნის გარეშე ივლის გზის გარკვეულ მონაკვეთებზე. სამოქალაქო სამოსიანი პატრულის თანამშრომლები ვიდეორეგისტრატორით დააფიქსირებენ დარღვევებს.

კანონი მკაცრდება მთვრალი, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლებისათვის. სამართალდამრღვევს მართვის უფლება ჩამოერთმევა ერთი წლით და მხოლოდ მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩაბარების შემდეგ ან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების 1000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემთხვევაში აღუდგება. ჯარიმის გადახდის უფლება სამი თვის შემდეგ მიეცემა. დღეს მოქმედი წესებით, ამავე დარღვევისათვის მძღოლს 6 თვით ჩამოართმევენ მართვის მოწმობას, თუმცა შეუძლია ჯარიმა გადაიხადოს და მართვის მოწმობა დაიბრუნოს.

გამკაცრდა ჯარიმა მძღოლის მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობის შემთხვევაშიც - საჯარიმო თანხა 10 ლარიდან 30 ლარამდე გაიზარდა, ასეთი დარღვევისათვის მართვის მოწმობას 10 ქულა დააკლედება.

სიჩქარის გადაჭარბება დადგენილზე (15-დან 40 კმ/სთ-მდე მეტი სიჩქარით) 10 ქულის ჩამოკლებით ისჯება, ხოლო 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის გადაჭარბებისას - 20 ქულის ჩამოკლებით და 200 ლარიანი ჯარიმით. იმავე დარღვევის დროს, თუ მძღოლს მგზავრები გადაჰყავს, მართვის მოწმობას 25 ქულა ჩამოაკლდება. თუ სიჩქარის გადაჭარბებას საავარიო სიტუაცია მოჰყვა, 30 ქულა. საავარიო სიტუაციას, თუკი სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, საგზაო ან სხვა ნაგებობის, ქონების, ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა, ეს უკვე 40 ქულის ჩამოჭრით ისჯება. ღერძული ხაზის გადაკვეთა, საპირისპირო ზოლში მოძრაობა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ჯარიმა 300 ლარის ოდენობით, მართვის მოწმობას კი 30 ქულა დააკლდება.

16 წლის ზემოთ ნებისმიერ მოქალაქეს (უკანა სავარძელზე მჯდომი) უფლება აქვს 3 წლამდე ბავშვი ჩაისვას კალათაში და ბავშვის ხელში დაჭერის შემთხვევაში უკანა სავარძელზე მჯდომი, ვალდებულია ღვედი გააკეთოს.

-საპატრულო პოლიცია ა/მანქანის გაჩერებისთანავე ვალდებულია, აგიხსნათ დარღვევის სახეობა და დაგისახელოთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის შესაბამისი მუხლი. თუკი პატრულს არ ეთანხმებით, ადმინისტრაციული კოდექსის 240-ე მუხლის თანახმად, ახსნა-განმარტებაში აუცილებლად უნდა აღნიშნოთ, რომ პოლიციელის მიერ მითითებული მუხლი არ დაგირღვევიათ, რაც საშუალებას მოგცემთ 10 დღის ვადაში სარჩელით მიმართოთ სასამართლოს (შეგიძლიათ იმავე ახსნა-განმარტებაში მიუთითოთ მოწმეების ვინაობაც).

რაც შეეხება სიჩქარის გაზრდას, მდგომარეობა უცვლელი დარჩა, კერძოდ ქალაქის შიდა გზებზე დასაშვებია 60 კმ/სთ სიჩქარე და შესაძლებელია მისი არაუმეტეს 15 კმ/სთ სიჩქარით გადაჭარბება, რაც არ ისჯება, მაგისტრალებზე კი დაშვებულია 110 ჯმ/სთ-ით მოძრაობა (ამ შემთხვევაში მხოლოდ 15 კმ/სთ-ით გადაჭარბება არ ისჯება).

,,საგზაო მოძრაობის შესახებ'' კანონში ცვლილებები მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება. დარღვევებისათვის თანასწორად ისჯება ყველა, მიუხედავად თანამდებობისა თუ საზოგადოებრივი სტატუსისა.

**გიორგი (გოგი) ჩხოტუა**

*სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტი,*
*შპს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ავტოტექნიკური, კრიმინალისტიკური საექსპერტო კვლევითი ცენტრის დირექტორი*

*ფოთის კოლორიტები*
# გუგუტა მასხულია-100



ქალაქის წარსულს ადამიანები ქმნიდნენ, მაგრამ მაშინ ისინი მომავლის, ანუ დღევანდელობისათვის იბრძოდნენ, დღევანდელობას უყრიდნენ საფუძველს, თავდაუზოგავი შრომით თავიანთ ბიოგრაფიას წერდნენ, თავიანთ პიროვნულ სახეს აყალიბებდნენ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ბატონი გუგუტა მასხულია საკმაოდ ცნობილი და გამორჩეული იყო. ის გახლდათ კაცი სახელმწიფო აზროვნებით, მრავალმხრივი განათლებით, სინდისით, პატიოსნებით, კაცობით, ერთგულებით, ჰუმანიზმით. ფოთი ყოველთვის იყო მუშათა ქალაქი, მრავალი დარგით წარმოდგენილი, მაგრამ კავშირგაბმულობა ეს ის სამსახური იყო, რომელიც ქალაქს აკავშირებდა გარე სამყაროსთან. ეს იყო საფოსტო, სატელეფონო, სატელეგრამო კომუნიკაცია ქალაქის, რესპუბლიკის და მთლიანად საკავშირო მასშტაბით. აღსანიშნავია საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობები და ამ უაღრესად რთულ ამოცანას თავს ართმევდა ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი გუგუტა მასხულიას ხელმძღვანელობით, სადაც 30 წელზე მეტ ხანს იმოღვაწა. კარგი ორგანიზატორი, ნამდვილი ლიდერი, ფოთის საზოგადოებაში დაფასებული ყველა საქალაქო ღონისძიების აქტიური მონაწილე გახლდათ. ბატონი გუგუტა მართლაც იყო დიდი პიროვნება, ახალგაზრდობის კარგი აღმზრდელი, ჩინებული ოჯახის პატრონი. ამ დიდებულ ტრადიციებს აგრძელებს შვილი, გულთაზ მასხულია.შვილიშვილი გია მასხულია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. დასანანია, რომ ეს ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი, ფოთსა და ფოთელებზე უსაზღვროდ შეყვარებული უდროოდ წავიდა ამ მართლაც წუთისოფლიდან და დიდი ტკივილი დაუტოვა ოჯახს, თანაქალაქელებს. მასხულიების დიდ ოჯახში ახალი თაობა იზრდება, ისეთი ქალაქს რომ გამოადგება და დიდი ბაბუას სახელს ყოველთვის პატივს მიაგებს და განადიდებს, ის ურჩევნია მამულსა, სიცოცხლის ძაფი არ წყდება.

ქალაქი ყოველთვის მოიგონებს თავის ღირსეულ შვილებს და მათ შორის ბატონ გუგუტა მასხულიას, როგორც, ძირძველ, ღირსეულ ფოთელს, მისი ისტორიის ნაწილს, მისი ჭირისა და ლხინის მოზარეს.

ფოთის საზოგადოება

*,,დროს მიაქვს ყველა ძველი, ჩვენი კაცობის გარდა''*
# გუგუტა მასხულია – გვენატრები,ბაბუ

დრო თავისას მოითხოვს და მიაქვს კიდეც, ვინ იცის რამდენი სიცოცხლე ხმა და ფერი ქცეულა მიწად, შენც მარადისობის ნაწილი გახდი, ჩვენო საყვარელო ბაბუა. გუგუტა მასხულია ვასილევიჩ. განშორების ტკივილს წლები ვერ ერევა, არ ივსება უშენობით გაჩენილი სიცარიელე, უსაყვარლესი ძმა, მეუღლე, მამა, ბიძია და ბაბუა იყავი, ამიტომაც გიხსენებთ ყველანი დიდი სიყვარულით, ფიქრებში გელოლიავებით და როცა გაუსაძლისი ხდება უშენობა, მოვდივართ შენს საფლავთან და იქ ვიოხებთ გულს შენთან საუბრით. უშენობის ტკივილს შენი საყვარელი შვილიშვილის გია მასხულიას გარდაცვალებაც დაემატა და შენი ტკივილი დაგვავიწყდა კიდეც, გიას, რომელიც ყველაზე მეტად გგავდა შენ. წლების განმავლობაში ემსახურებოდი საყვარელ საქმეს, 32 წლის განმავლობაში იყავი ქალაქის კავშირგაბმულობის უფროსი და ღირსეულად ასრულებდი დაკისრებულ მოვალეობას. 27 აპრილს 100 წელი გისრულდება და ჩვენ კიდევ ერთხელ შევიკრიბებით შენს საფლავთან და მოგონებებში გაგაცოცხლებთ და მოგეფერებით.

შენით ამაყი და მადლიერი შვილიშვილები.

## პოეზიის სამყაროში



### რისი ასაკი

თქვენი იმედის სტიმულით სხვა
შემართებით მოვდივარ,
როცა სამბოში ვტრიალებ ფაფარ აყრილი
ლომი ვარ,
რისი ასაკი, რა წლები, თქვენი ასაკის
მგონი ვარ,
ასაკის შიში დავსძლიე მე უშიშართა
ლომი ვარ.

*****

### წუნია

არავის არ გაებუტო, უხეშობა წუნია,
სულ მართალი შენ რომ იყო, არა რეალურია,
ურთიერთობის დათმობა არცთუ ისე რთულია,
თუკი არის ამის ნიჭი, საქმე გამართულია.

*****

### მეგობარს

შენ ჩემო მეგობარო ოცნებების ბუდევ,
იმედების ფანტაზიას მოუხსენი ზღუდე,
ერთად ყოფნით ადვილდება გზასავალი
მრუდე.

**ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი ნაპო თოდუა**

## ნაუკითხეთ პატარებს

,, საქათმეში შეპარულა მელა, ქათმებს ეჩურჩულებოდა ნელა,
შენ მამალო გააჩერე ენა, შენ დედალო წამომყევი ნელა ''...



მელაკუდა – მელია საქმე
გამოგელია?
ყიყლიყო ვარ მამალი
მელავ შენი წამალი.
ვერ გაგატან დედალსა,
წიწილების დედასა,
ქათმებს რისთვის
გვაწვალებ,
წადი ჩვენ გაგვეცალე,
დაგიკორტნი მაგ თვალებს
მელავ ვეღარ გათვალე?
მისამართი შეგშლია, გაიკეთე სათვალე.
წაბუნბულდა მელია მელა- კუდაგრძელია,
არ მიართვეს დედალი, რადგან დახვდა
მხედარი.
მელა ტყეში გაიქცა შიმშილისგან წაიქცა,
რა ჰქნას ვეღარ გათვალა, მელა დარჩა
ცალთვალა.
მელა მოკლე ფეხებით გრძელ კუდს მიტომ
ატარებს,
ღმერთმა არ აპატია, ტყუილი არ გვსურს
პატარებს.

**სახალხო მთქმელი ჰამლეტ კაკულია**

## წმინდა მანდილით
(ვუძღვნი მეუღლეს, მანანა ოდილავაძე-ჩირგაძისას,



გულისკარს მიხსნის
შენი თვალები,
თითქოს ციცაბო
კლდეზე ავდივარ,
სად წინათგრძნობა
გაუკვდავების
ჩნდება უბრალოდ,
მანთებს მარტივად,
მთვარე ივსება,
ცა მონატრებად გადაიქცევა,
თვალს ახალისებს,
რომ საყვედური გვითხრან ნაკლებად,
ვისაც სურვილი აამაისებს.
ხედავ? ხალისი მღელვარე გულის.
თითქოს, მზეს სხივი გაუფანტია,
და ეხლა იკლავს ხალისით წყურვილს
დარწმუნებული მას შენატრიან.
ხედავ? ამ წამსაც ახლავს თვისება,
შენი თვალების გამოძახილით,
მზე, რომ არასდროს დაინისლება
როს აინთება წმინდა მანდილით.

**დავით ჩირგაძე**

## ბორის ხუბულავას ხსოვნას



წუთისოფელში ყოფნამ ცოტა დრო მოიცვა და დაიწყო არყოფნის მარადისობის ათვლა.

40 დღე გავიდა, რაც აღარ ხარ ჩვენს შორის, მხოლოდ მოგონებები თუ შეავსებს ამ სიცარიელეს, სევდას განშორებისას. ,,კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასატოვებელი და მეორე იქ წასამძღვარებელი", პირნათლად წარსდექი ღვთაებრივ სამყაროში და აქაც კარგი კაცის სახელი დატოვე. იყო ბავშვობა, სიჭაბუკე, სწავლა, სამსახური. ყველგან მეგობრებით გარემოსილი იყავი. სიკეთის, უშუალობის, კაცობის გამო მუდამ გულღია მასპინძელი-ერთგული, ყურადღებიანი მეუღლის ქალბატონი მანანას დამსახურებით. ოჯახური იდილია შვილის, ლერის მოვლენა იყო ამქვეყნად. დედაშვილი სინანულით შეჰყურებენ სურათს, რომელიც ბევრ მოგონებებს ახსენებთ. ცხოვრება არასოდეს ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, შრომისმოყვარეობით ბურჯად ედექი ლამაზ ოჯახს. ქარხანა ,,ფოთიელექტროაპარატში" 45 წელი იყავი მთავარი ენერგეტიკოსი, კარგი სპეციალისტი, ფოთელთა იმ თაობას, პლეადას ეკუთვნოდი, რომელმაც მოიხადა ვალი ქვეყნისა, კაცობისა. იყავი ფოთსა და ფოთელებზე უზომოდ შეყვარებული. ერთადერთი ძმა ლერი დადარდიანებული, მაგრამ იმედით შეჰხარის ძმისშვილს ლერის, რომელიც საამაყოა მისთვის. სიცოცხლე გრძელდება. ამაყია მანანა კარგი შვილის გამზრდელი დედა.

იქნება ოჯახში ძეობა, სიხარული, შვილიშვილები დაადგამენ ფეხს საფლავზე და მოგიტანენ ყვავილებს. მოვლენ მეგობრები და გაგიხსენებენ მუდამ.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა. სანთელ-საკმეველი ბორის შენს სპეტაკ სულს, ებარებოდე კოლხეთის მიწას.

მეგობრები

## სამძიმარი ვიტალი ხაბურზანია



თანაგრძნობას ვუცხადებთ დედას, მარია ხაბურზანიას შვილის გარდაცვალების გამო, ასევე ვიზიარებთ ოჯახის, მეუღლის, შვილების მწუხარებას.

ვიტალი ხაბურზანია დაიბადა და დავაჟკაცდა ფოთში, ცნობილმა მეზღვაურმა მთელი მსოფლიო შემოიარა. ბოლო წლები გაატარა ნოვორასიისკში. სადაც მუშაობდა ფირმა ,,ლუკოილის" გენერალური დირექტორის მოადგილედ. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალეს 11 მაისს ხუთშაბათს, ნოვოროსიისკის ქართველთა სასაფლაოზე.

სიყრმის მეგობარს ვაცილებთ დიდი ტკივილითა და სინანულით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.

გოგი გაგუა, მოგელი ტყებუჩავა, ზაველი ბაკურაძე, ჯანო დანელია, რამაზ არონიშიძე, ზურაბ აბრალავა, სერგო ბასილია, ანატოლი გავრილენკო.

*,,სამშობლოსათვის სანთლად დანთებული სიცოცხლეს"*

## სერაპიონ (სერგო) დავითის ძე კორტავას მონატრება



ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი ,,ფაზისიდიოსკურიას" წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 94 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ომისა და შრომის ვეტერანი, უხუცესთა კავშირის კოჰორტის წევრი ბატონი **სერაპიონ (სერგო) დავითისძე კორტავა**. ბატონმა სერგო კორტავამ თავისი გულითა და მხრებით ატარა სამშობლოს სიყვარული და ჭირვარამი. ბობოქარი მე-20 საუკუნის დასაწყისში დაბადებულმა, ის-ის იყო შეაღო ყმაწვილკაცობის ასაკის ჭიშკარი, რომ მთელს უკიდეგანო ქვეყანაში ზარების რეკვამ ხალხს აუწყა მუხანათი მტარვალის შემოსევის შესახებ.ომის პირველივე წუთიდან ბრძოლაში ჩაერთო ბატონი სერგოს უფროსი ძმა- გული კორტავა, რომელიც ბრესტის ციხესიმაგრის დაცვისას გმირულად დაიღუპა. მიუხედავად არასრულწლოვანებისა, გულანთებულმა ბატონმა სერგომ ფიცი დადო ძმისთვის შურის საძიებლად და მოხალისედ წავიდა ომში. ფიცი პირნათლად შეასრულა-ფაშისტურ ურჩხულს თავის ბუნაგში მოუღო ბოლო და გამარჯვება რაისტაგის კედელთან იზეიმა. სწორედ მასზე თქმულა: ,,ომში ვიყავ, მტერს ბერლინი მიუგრიხე-მოუგრიხე, 9 მაისით შემოვძახე, ეგ არის და გორის ციხე".

მერე იყო მშვიდობიანი აღმშენებლობა, ქვეყნისათვის გარჯა, კოლხი ქალიშვილის, ულამაზესი ვალია მიხეილის ასული პერტაიას ერთი ნახვით შეყვარება და დაქორწინება.

65 წელი იცხოვრეს ქვეყნად და ფესვმაგარი და სახელოვანი ოჯახი შექმნეს, შვილები ღირსეულად გაზარდეს და შვილიშვილებს მოესწრნენ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი პიროვნება, რომელმაც თითქმის საუკუნო ცხოვრება სანთლად აუნთო საყვარელ სამშობლოს.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

მეგობრები

## შეაჩერეთ თმის ცვენა მწვანე ჩაის ნიღბით

მწვანე ჩაი მდიდარია ანტიოქსიდანტებით და საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა თმის ცვენის შესაჩერებლად.

მწვანე ჩაის ნიღაბის მომზადება სახლის პირობებში-ინგრედიენტები:
1 კვერცხის გული; 2 ს/კ მწვანე ჩაი

პროცედურა: აურიეთ ინგრედიენტები, სანამ ერთგვაროვან მასას არ მიიღებთ, წაისვით მიქსტურა თმასა და სკალპზე ჯაგრისის მეშვეობით, გაიჩერეთ 15-20 წუთის განმავლობაში, ჩამოიბანეთ ცივი წყლით შამპუნის წასმამდე. მწვანე ჩაის უპირატესობები: პროტეინები ამდიდრებს თმას, ანიჭებს ბზინვარებას და ამცირებს თმის ცვენას.

## როგორ ვუმკურნალოთ არტერიულ ჰიპერტენზიას?



*არტერიული ჰიპერტენზიის მკურნალობა კვების რეჟიმისა და ცხოვრების წესის შეცვლას, ფიზიკურ აქტიურობასა და მედიკამენტების რეგულარულ მიღებას გულისხმობს.*

*რატომ არის აუცილებელი მაღალი წნევის მკურნალობა?*

ცნობილია, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი მაღალ წნევას საერთოდ ვერ გრძნობს და ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე განაგრძობს ჩვეულ საქმიანობას. მიუხედავად ამისა, დადგენილია, რომ ასეთ პირებშიც კი მაღალი წნევა დროთა განმავლობაში ინსულტს, ინფარქტს, გულის ან თირკმელების უკმარისობას იწვევს.

სწორედ ამ გართულებათა თავიდან ასაცილებლადაა რეკომენდებული წნევის ნორმალიზაცია. დღეს მრავალი გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ჰიპერტენზიის წარმატებული მკურნალობა ინსულტების სიხშირეს 35-40%-ით ამცირებს, გულის შეტევის რისკს - 20-25%-ით, გულის უკმარისობისას - 50%-ზე მეტით.

*როდის უნდა დავიწყოთ მკურნალობა?*

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ წნევის ნორმები.

ნორმალური წნევა - ნაკლებია, ვიდრე 120/80;

პრეჰიპერტენზია - 120-139/80-89;

ჰიპერტენზია - წნევა 140/90 და მეტია.

განასხვავებენ ჰიპერტენზიის ორ სტადიას. I სტადიაში წნევა 140-159/90-99-ის ფარგლებშია, ხოლო მეორე სტადიაში - 160 ან მეტი/100 ან მეტზე. როცა არტერიული წნევა 120/80-ს აღემატება, პაციენტმა უნდა შეიცვალოს ცხოვრების წესი, ფიზიკურად გააქტიურდეს. მედიკამენტური მკურნალობის საჭიროება მაშინ აღმოცენდება, როცა აუცილებელია წნევის დაქვეითება 140/90-ზე ქვემოთ ანდა უფრო მეტად, როცა პაციენტს შაქრიანი დიაბეტი ან თირკმელების ქრონიკული უკმარისობა აქვს. ამ დროს სასურველია, წნევა 130/80-ს არ აღემატებოდეს. რასაკვირველია, მედიკამენტურ მკურნალობასთან ერთად მნიშვნელობას არც ზემოთ დასახელებული არამედიკამენტური ღონისძიებები კარგავს.

ჰიპერტენზიის სამკურნალო მედიკამენტები:

დღეს არტერიული ჰიპერტენზიის სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება აგფ-ინჰიბიტორები, აგფ რეცეპტორების ინჰიბიტორები, შარდმდენები, ბეტა-ბლოკერები, კალციუმის ანტაგონისტები. გარდა ამისა, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა ჯგუფების მედიკამენტთა გამოყენებაც.

აგფ-ინჰიბიტორები

ანგიოტენზინგარდამქმნელი ფერმენტების ინჰიბიტორები აფართოებს სისხლძარღვებს, რაც სისხლძარღვთა შემავიწროებელი ფაქტორის - ანგიოტენზინის წარმოქმნის დათრგუნვით მიიღწევა. ამ ჯგუფის პრეპარატებია კაპტოპრილი, ენალაპრილი, ლიზინოპრილი, პერინდოპრილი.

ანგიოტენზინ II-ის რეცეპტორების ბლოკერები

მათი გამოყენებისას სისხლძარღვთა გაფართოება და წნევის დაქვეითება ხდება არა ანგიოტენზინის წარმოქმნის, არამედ მისი აქტივობის ბლოკირების ხარჯზე. ამ ჯგუფის პრეპარატებია ლოზარტანი, ვალსარტანი, კანდესარტანი.

შარდმდენები

მათი გამოყენებისას ორგანიზმიდან გამოიყოფა სითხე, იზრდება შარდის რაოდენობა, რის შედეგადაც ქვეითდება წნევა.

ბეტა-ბლოკერები

ბეტა-ბლოკერები თრგუნავს გულზე ადრენალინის ზემოქმედებას. გული ისე ხშირად და ძლიერად აღარ იკუმშება, როგორც ადრე, შედეგად კი წნევა ქვეითდება. ამ ჯგუფის პრეპარატებია ატენოლოლი, მეტოპროლოლი, ბისოპროლოლი.

კალციუმის არხების ბლოკერები

ეს პრეპარატები აფართოებს სისხლძარღვებს, აადვილებს გულის მუშაობას, რითაც ამცირებს წნევას. გარდა ამ საშუალებებისა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა ჯგუფის პრეპარატებიც - სისხლძარღვთა გამაფართოებლები, ცენტრალური მოქმედების პრეპარატები, ალფა ბლოკერები. საკმაოდ ხშირად ერთი პრეპარატი არ არის საკმარისი არტერიული წნევის სამიზნე ციფრების მისაღწევად და საჭირო ხდება ორი ან მეტი მედიკამენტის დანიშვნა. ვინაიდან არტერიული წნევის მკურნალობა ხანგრძლივი პროცესია და ხშირად მთელი სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს, აუცილებელია ისეთი მედიკამენტები, რომელთა ხანგრძლივი მიღებაც პაციენტს დისკომფორტს არ შეუქმნის. სწორედ ამ მოთხოვნებს პასუხობს გახანგრძლივებული, 24 საათის განმავლობაში მოქმედი და ორი, ზოგჯერ კი სამი პრეპარატის კომბინაციით შექმნილი საშუალებები. მართალია, ზემოთ ზოგიერთი მედიკამენტი დავასახელეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არტერიული ჰიპერტენზიის თვითმკურნალობა შეიძლება. საჭირო მედიკამენტი და მისი დოზა მკურნალმა ექიმმა უნდა შეარჩიოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველ მედიკამენტს, გარდა დადებითისა, აქვს არასასურველი, გვერდითი ეფექტებიც. ექიმი ყოველთვის ითვალისწინებს მათ ალბათობას. გარდა უშუალოდ ჰიპერტენზიის სამკურნალო საშუალებებისა, არტერიული ჰიპერტენზიის დროს ინიშნება მკურნალობა ქოლესტერინის ცვლის რეგულირების მიზნით და ასპირინი გულის იშემიური დაავადებისა და ინსულტის პროფილაქტიკისათვის.

*ალტერნატიული საშუალებები:*

ბუნებრივია, ბევრს სურს, მედიკამენტების გარეშე ებრძოლოს მაღალ წნევას. არტერიული წნევის გარკვეული მაჩვენებლებისა და სამიზნე ორგანოების დაზიანების შემთხვევაში პაციენტი მხოლოდ ამ მეთოდების იმედად ვერ დარჩება, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზომიერი პრეჰიპერტენზიის დროს არამედიკამენტური საშუალებებით წნევის რეგულირება სავსებით შესაძლებელია.

*დიეტა:*

მეცნიერული კვლევები მოწმობს დიეტის მნიშვნელობას არტერიული წნევის დასაქვეითებლად. ამ დიეტას ლიტერატურაში DASH აბრევიატურით აღნიშნავენ. ქართულად ის ამგვარად იშიფრება: "დიეტური მიდგომა ჰიპერტენზიის შესაჩერებლად". დიეტის პრინციპია - მეტი ხილი, ბოსტნეული, ცხიმით ღარიბი რძის პროდუქტები;

ნაჯერი ცხიმებით, ქოლესტერინით მდიდარი საკვების შეზღუდვა;

მეტი პარკოსნები, უცხიმო თევზი, უცხიმო შინაური ფრინველის ხორცი, კაკალი, თხილი;

ნაკლები წითელი ხორცი და ტკბილეული;

მაგნიუმით, კალიუმით, კალციუმით მდიდარი საკვები - ვაშლი, გარგარი, ბანანი, ჭარხლის ფოთოლი, ბროკოლი, სტაფილო, მწვანე ლობიო, გრეიპფრუტი, ყურძენი, მწვანე ბარდა, კომბოსტო, მანგო, ნესვი, ატამი, ფორთოხალი, ანანასი, კარტოფილი, ქიშმიში, ისპანახი, მარწყვი, მანდარინი, პომიდორი, უცხიმო იოგურტი, ფინიკი, გოგრა.

DASH დიეტით რეკომენდებული ხილი და ბოსტნეული მდიდარია ბოჭკოებით. თავდაპირველად ამან შესაძლოა მუცლის შებერვა, ზოგჯერ ფაღარათიც კი გამოიწვიოს, თუმცა ადამიანი მალე ეჩვევა ახალ რაციონს და დისკომფორტიც ქრება.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა